საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/07

ქ. ბათუმი 21 იანვარი, 2022 წელი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეების ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „2021 სასწავლო წლიდან ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის 01-02/146 ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის", სტუდენტების მოზიდვის თაობაზე ბსუ-სა და **„შპს ინტერნაციონალ სტუდენტ ედუკატიონ კონსულტინგ ცენტერ"** კომპანიას შორის 2021 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანების, „„ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებების (2021 წლის 13 დეკემბრის MES 5 21 0001360502, 2021 წლის 17 დეკემბრის MES 9 21 0001380667 და 2021 წლის 23 დეკემბრის MES 8 21 0001408818 ბრძანებების, ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთა მიერ პირველი სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის (ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის), აპლიკანტების განაცხადების და სტუდენტის ხელშეკრულების ხელმოწერილი ფორმების შესახებ ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 20 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (N45392), აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის თაობაზე ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 20 იანვრის N44508 სამსახურებრივი ბარათის და „შპს ინტერნაციონალ სტუდენტ ედუკატიონ კონსულტინგ ცენტერ“ კომპანიის დამფუძნებელისა და დირექტორის გიორგი ქუთათელაძის 2022 წლის 20 იანვრის №45260 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხონ ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეები წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად (ე.წ. მე-9 ნაკადი/„საგაზაფხულო ჩარიცხვა“).
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.
3. წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხული პირები სასწავლო პროცესში დაშვებული იქნან 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან (პირველი სემესტრი) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს აკადემიური კალენდარის შესახებ სტუდენტთა დამატებითი ინფორმირება (საჭიროების შემთხვევაში), ასევე სტუდენტთა პირადი საქმეების გახსნასთან, მატერიალური სახით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე (გაეგზავნოს თარჯიმანს).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, დიპლომის გაცემისა და რეესტრის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 იანვრის

N01-08/07 ბრძანების

დანართი 1

N	ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის სახელი, გვარი	მოქალქეობა	პასპორტის ნომერი	ბსუ-ს პროგრამა, რომელზე ჩარიცხვის უფლება მოიპოვა	ბსუ-ს რექტორის თანხმობის წერილი	საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება
1	მოჰამმად ამაან ინაიათ	ინდოეთის რესპუბლიკა		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი	Mes 6 21 0001270206 (06/11/ 2021 წ)	2021 წლის 17 დეკემბრის MES 9 21 0001380667 ბრძანება
2	დარშ ვიკას ტეილორ	ინდოეთის რესპუბლიკა		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი	Mes 0 21 0001287969 (01/12/ 2021 წ)	2021 წლის 23 დეკემბრის MES 8 21 0001408818
3	შივამ საინი	ინდოეთის რესპუბლიკა		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი	MES 6 21 0001187335 (04/11/2021 წ)	2021 წლის 13 დეკემბრის MES 5 21 0001360502 ბრძანება